



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი
2013 წელი

ეგზ. N2

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ფინანსური ანგარიშგება № 16100

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშთან ერთად
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა დასკვნა.....	3
ფორმა N1 - ბალანსი	8
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	10
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	11
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	12
ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	13
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.....	14
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ	16
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები	17
1. ზოგადი ინფორმაცია	17
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	17
3. სავალუტო ანგარიში ბანკში	18
4. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	19
5. ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	20

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა დასკვნა

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ (შემდგომში ბიურო) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯებს, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციებს, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციებს, წმინდა ღირებულებას, ფულად გრანტებს, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლას, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბიუროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი ბიუროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

2009 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიმდინარე პერიოდის საწყის ნაშთებზე

- 2009 წელს უზუსტოდ/არასრულად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება

2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული. ჩვენ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ წმინდა ღირებულების N5100 და გაუნაწილებელი მოგების N5220 ანგარიშები 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს 2009 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. უზუსტობები, მათი არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოწვეულიყო ეკონომიკური საქმიანობით და საბიუჯეტო დაფინანსებით გაწეული ხარჯების, ან მიღებული შემოსავლების არამართებული გამოიჯვანო - კლასიფიცირებით. სწორედ აღნიშნული აღმოჩნდა მიზეზი იმისა, რომ 2009 წლის წმინდა ღირებულების N5100 ანგარიშის ბრუნვა 438,036 ლარით არამართებულად არის შემცირებული, ხოლო გაუნაწილებელი მოგების N5220 ანგარიშის ბრუნვა ამავე თანხით არამართებულად არის გაზრდილი. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2009 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი წმინდა ღირებულებისა და გაუნაწილებელი მოგების ნაშთების სისწორეში.

- არაფინანსური აქტივები

- ბიუროს მიერ 2009 წელს შეძენილია და ძირითად აქტივად აღიარებულია 42,8 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობები. აღნიშნული მასალების ღირებულება უნდა ასახულიყო ხარჯებში, რადგან არ კმაყოფილდება ძირითად აქტივად აღიარების ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრულია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანებით. შედეგად, 2009 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების ანგარიში 42,8 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი, ხოლო გაუნაწილებელი მოგების N5220 ანგარიში ამავე თანხითაა შემცირებული;
- 2009 წელს ბიუროსათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაფინანსური აქტივების შესაძენად გამოყოფილი ასიგნებებით შეძენილია 9,000 ლარის საერთო ღირებულების ისეთი აქტივები, რომლებიც არაფინანსურ აქტივებს არ განეკუთვნებიან და რომელთა შეძენა უნდა განხორციელებულიყო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, სუბსიდიების მუხლიდან. აღნიშნული ფაქტი იწვევს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონთან შეუსაბამობას. ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაში 2009 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები 9,000 ლარით გაზრდილად - , ხოლო წმინდა ღირებულების N5100 ანგარიში ამავე თანხით შემცირებულად იქნა წარმოდგენილი;
- ფორმა N2-ის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაფინანსური აქტივების შესაძენად გამოყოფილი ასიგნებებით შეძენილი ძირითადი საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 507,428 ლარი. თუმცა, ბუღალტრულ ჩანაწერებში აღნიშნული აქტივების ღირებულება ასახულია 418,738 ლარით;

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2009 წელს, აღნიშნული ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარებისას ბიურომ შეძენილი აქტივების დღგ-ის თანხა ჩაითვალა და შესაბამისად, არ შეიყვანა ძირითადი საშუალების თვითღირებულებაში. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმისა, რომ შესყიდული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოყენებული იქნა მხოლოდ დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში, რაც საფუძველი იქნებოდა დღგ-ის სრული ჩათვლისათვის. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით, რომ არაფინანსური აქტივებისა და დღგ-ის ნაშთები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, რაც შესაძლოა გამოწვეულიყო აღნიშნული გარემოებით. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ბიურომ დააკორექტირა დღგ-ის დეკლარაციები, მათ შორის ზემოთ ხსენებულ ოპერაციასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ, თუმცა, 2009 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბუღალტრულ ჩანაწერებში შესწორება არ იქნა შესაბამისად ასახული;

- ბიურომ 32,765 ლარის საერთო ღირებულების ინვენტარი აღრიცხა ხარჯებში, საიდანაც 7,568 ლარის ღირებულების ავეჯი (10 ცალი ინტეგრირებული კარადა და 3 სამედიცინო კარადა) აკმაყოფილებდა

ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. შედეგად კი 2009 და 2010 წლების ფინანსურ ანგარიშგებაში გაუნაწილებელი მოგების N5220 ანგარიში 7,568 ლარითაა გაზრდილი, ხოლო ამავე თანხითაა შემცირებული ძირითადი საშუალებების ანგარიში.

2010 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიმდინარე პერიოდის საწყის ნაშთებზე

-ინვენტარიზაცია (2010)

ბიუროში 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩატარებულა დებიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია. "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა ანგარიშგების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ყოველწლიურად ინვენტარიზაციის ჩატარება.

ჩვენ არ დავსწრებივართ 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებულ არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2010 წლის 31 დეკემბრისათვის ფლობილი სხვა მატერიალური მარაგების ღირებულების სისწორესა და სისრულეში, რაც ბალანსში ასახულია 116,271 ლარის ღირებულებით. ასევე, ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2010 წლის 31 დეკემბრისათვის ფლობილი მანქანა-დანადგარების, ინვენტარის და სხვა ძირითადი აქტივების ღირებულებების სისწორეში, რაც ბალანსში ასახულია 6,460,995 ლარის საერთო ღირებულებით.

აღნიშნული საკითხების გამო, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სხვა მატერიალურ მარაგებთან, მანქანა-დანადგარებსა და ინვენტართან, სხვა ძირითად აქტივებთან დაკავშირებით, აგრეთვე ფორმა N1-ის, ფორმა N3-ის, ფორმა N4-ისა და ფორმა N5-ის შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

-ვალდებულებების აღრიცხვა

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებების ანგარიშებზე ირიცხება სულ 13,455 ლარის სადებეტო ნაშთი, რომელიც გამოყენებული იქნა 2011 წლის განმავლობაში. შედეგად, 2010 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები 13,455 ლარით არის შემცირებული.

-ხარჯების აღრიცხვა

2010 წლის იანვრის თვეში დარიცხულია 2009 წელს გაწეული მივლინების, კომუნალური, კავშირგაბმულობის და დაცვის ხარჯების ნაწილი, რამაც ჯამში 16,000 ლარი შეადგინა. გარდა ამისა, 2011 წლის იანვრის თვეში დარიცხულია 2010 წელს გაწეული კომუნალური და კავშირგაბმულობის ხარჯების ნაწილი, ჯამში 29,620 ლარის ოდენობით. შედეგად, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების N5220 ანგარიში 14,201 ლარით არის შემცირებული.

-დებიტორული დავალიანებები (2010)

2010 წლის განმავლობაში დაიფარა 50,917 ლარის დებიტორული დავალიანება, გამომდინარე იქიდან, რომ გადახდის დოკუმენტებში არ ჩანდა კონკრეტული დებიტორის დასახელება, ბუღალტერიაში თანხის მიღება ნაცვლად დებიტორულ დავალიანებასთან კორესპონდენციისა, გატარადა შემოსავლების ანგარიშზე. შედეგად, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილად იქნა წარმოდგენილი როგორც დებიტორული დავალიანების ნაშთი, ასევე გაუნაწილებელი მოგების N5220 ანგარიში. 2011 წლის განმავლობაში მოხდა იმ დებიტორების იდენტიფიცირება, რომელთაც ჰქონდათ დაფარული აღნიშნული 50,917 ლარის დავალიანება, რაც დაკორექტირდა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშთან კორესპონდენციით.

-გადასახადებთან დაკავშირებული მუხლები (2010)

- 2009 წელს ბიუროს მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, საგადასახადო დეკლარაციებთან შედარებით ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული გადასახდელი დღგ-ის მუხლი ნაკლებია 21,590 ლარით, ჩასათვლელი დღგ-ის მუხლი მეტია 83,767 ლარით, ხოლო საშემოსავლო გადასახადის მუხლი მეტია 37,775 ლარით,

2010 წელს ბიუროს მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და ბუღალტრულ ჩანაწერები არსებული ინფორმაცია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, საგადასახადო დეკლარაციებთან შედარებით ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული გადასახდელი დღგ-ს მუხლი მეტია 45,311 ლარით, ჩასათვლელი დღგ-ს მუხლი მეტია 45,171 ლარით, გადასახდელი საშემოსავლოს მუხლი კი მეტია 8,041 ლარით.

ზემოთ წარმოდგენილი უზუსტობების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბიურომ 2011 და 2012 წლებში დააზუსტა წინა საანგარიშო პერიოდების დეკლარაციები და შესაბამისი კორექტირებები ბუღალტრულ ჩანაწერებში იმ საანგარიშო წლებში გაატარა, როდესაც მოხდა დეკლარაციების დაზუსტება.

- მნიშვნელოვანი სხვაობებია სხვა გადასახადების აღრიცხვის შემთხვევებშიც. გამომდინარე იქიდან, რომ ბიუროს არ აქვს გამიჯნული საბიუჯეტო სახსრებითა და ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შემენილი არაფინანსური აქტივების თანხები, შეუძლებელია ქონების გადასახადის სწორად გაანგარიშება.

ამ აზრადში წარმოდგენილი საკითხებისა და ზემოთ განხილული სხვა შეცდომების საგადასახადო ეფექტის დადგენის შესაძლებლობის არ ქონის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულ გადასახადებთან დაკავშირებული მუხლების სისწორეში.

2011 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამოებები

-ინვენტარიზაცია

ბიუროში 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩატარებულა დებიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია. "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ყოველწლიურად ინვენტარიზაციის ჩატარება.

ჩვენ არ დავსწრებივართ 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებულ არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციას. ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2011 წლის 31 დეკემბრისათვის ფლობილი სხვა მატერიალური მარაგების ღირებულების სისწორესა და სისრულეში, რაც ბალანსში ასახულია 1,357,781 ლარის ღირებულებით. ასევე, ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2010 წლის 31 დეკემბრისათვის ფლობილი მანქანა-დანადგარების, ინვენტარის, დაუმთავრებელი მშენებლობისა და სხვა ძირითადი აქტივების ღირებულებების სისწორეში, რაც ბალანსში ასახულია 6,460,995 ლარის საერთო ღირებულებით.

აღნიშნული საკითხების გამო, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სხვა მატერიალურ მარაგებთან, მანქანა-დანადგარებსა და ინვენტართან, დაუმთავრებელ მშენებლობასთან, სხვა ძირითადი აქტივებთან დაკავშირებით, აგრეთვე ფორმა N1-ის, ფორმა N3-ის, ფორმა N4-ისა და ფორმა N5-ის შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

-სხვა მატერიალური მარაგები

2011 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, არარეზიდენტ კომპანია „CONTROLS“-ს უნდა უზრუნველყო ბიუროსათვის 80 კალენდარული დღის განმავლობაში ფიზიკური მახასიათებლების შესამოწმებელი ხელსაწყოების მოწოდება, მონტაჟი და შემდგომი სატრენინგო მომსახურების გაწევა. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 624,223 ევროთი, რაც ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით შეადგენდა 1,424,477 ლარს. საქონელი კონტრაქტორმა ბიუროს მოაწოდა ორ ეტაპად - 18/11/2011 და 03/02/2012 თარიღებში. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ 2011 წელს მიღებული საქონლის თავდაპირველი აღიარება ბიურომ არამართებულად განახორციელა:

- ბიურომ არ გაითვალისწინა საქონლის მოწოდების პირობები (DDU თბილისი) და ნაცვლად საქონლის თბილისის საბაჟოზე შემოსვლის თარიღისა (28/11/2011), ბუღალტრულ ჩანაწერებში აქტივების შემოსვლა აღრიცხა კონტრაქტორის მიერ გამოწერილი ინვოისის თარიღით (18/11/2011). აღნიშნული შეუსაბამოება ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-17 მუხლის მოთხოვნებთან, რისი მიხედვითაც არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის აღრიცხვაში ასახვის დრო დგება მაშინ, როდესაც ხდება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან დათმობა. შედეგად კი, აქტივის ღირებულების თავდაპირველი შეფასება მოხდა არასწორი სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით, ნომინალური ღირებულების ექვივალენტ ლარში, ხოლო 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არაფინანსური აქტივები 20,821 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.
- ბიურომ 2011 წელს მიღებული 554,154 ლარის ღირებულების ფიზიკური მახასიათებლების შესამოწმებელი ხელსაწყოები, რომლებიც ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 23-ე მუხლის მიხედვით აკმაყოფილებდა ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, არამართებულად აღრიცხა მატერიალური მარაგების ანგარიშზე.

-ხარჯების აღრიცხვა

- 2011 წლის იანვრის თვეში დარიცხულია 2010 წელს გაწეული კომუნალური და კავშირგაბმულობის ხარჯების ნაწილი, რამაც ჯამში 29,620 ლარი შეადგინა. ასევე, 2012 წლის იანვრის თვეში დარიცხულია 2011 წელს გაწეული კომუნალური და მივლინების ხარჯის ნაწილი - 34,477 ლარის ოდენობით. შედეგად 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარჯები შემცირებულია 5,720 ლარით.
- 2011 წლის ქონების გადასახადი 72,000 ლარი დარიცხულია 2012 წლის მარტის თვეში.

-შემოსავლების აღრიცხვა

ბიურომ 2011 წელს თანამშრომლებზე გაცემული საჩუქრები არა მხოლოდ საგადასახადო, არამედ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვისაც აღიარა რეალიზაციად და 13,246 ლარით გაზარდა N6425 საბუღალტრო ანგარიშის საკრედიტო ბრუნვა. შედეგად, შემოსავლები აღნიშნული თანხით არასწორედ იქნა წარმოდგენილი 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

-დებიტორული დავალიანება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ბიუროს ბალანსზე ირიცხება 4,392,664 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოიშვა 2008 წელს, ხოლო დანარჩენი 2009 წლის პირველ ნახევარში. 2009 წლის პირველი ნახევრის შემდგომ დებიტორული დავალიანების შესაბამის ანგარიშზე რაიმე სახის ბრუნვას ადგილი არ ჰქონია. ბიუროს ხელმძღვანელობას არ გამოუთქვამს მოლოდინი, რომ 4,392,664 ლარის მოთხოვნა დაიფარება მომდევნო საანგარიშო პერიოდებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 4,392,664 ლარის მოთხოვნა კვალიფიცირდება ხანდაზმულად. ზემოთ განხილული გარემოებების მიუხედავად, ბიუროს არ წარმოუდგენია აღნიშნული დებიტორული დავალიანება საცნობარო მუხლებში ვადაგადაცილებული დავალიანებების სახით, როგორც მოითხოვებოდა 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 43-ე მუხლის შესაბამისად.

- გადასახადებთან დაკავშირებული მუხლები

- ორგანიზაციის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, საგადასახადო დეკლარაციებთან შედარებით ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული გადასახდელი დღგ-ის ბრუნვა მეტია 146,745 ლარით. აქედან, 176,086 ლარის ოდენობის სხვაობა გამოწვეულია იმის გამო, რომ ბიურომ 2011 წელს დააზუსტა წინა წლების დღგ-ის დეკლარაციები და აღნიშნული თანხის კორექტირება ბუღალტრულ ჩანაწერებში მიმდინარე საანგარიშო წელს გაატარა. რაც შეეხება 29,341 ლარის ოდენობის სხვაობას, ბიურომ 2012 წელს კიდევ ერთხელ დააზუსტა დღგ-ის დეკლარაციები და 2011 წლის დეკლარაციებში აღმოჩენილი სხვაობები ბუღალტრულ ჩანაწერებში შეასწორა 2012 წლის საანგარიშო პერიოდში. შედეგად, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი დღგ-ის მუხლი არამართებულადაა შემცირებული 29,341 ლარით.
- მნიშვნელოვანი სხვაობებია სხვა გადასახადების აღრიცხვის შემთხვევებშიც. ბუღალტრულ ჩანაწერებში ქონების გადასახადი საგადასახადო დეკლარაციასთან შედარებით 61,921 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ბიუროს არ აქვს გამიჯნული საბიუჯეტო სახსრებითა და ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შეძენილი არაფინანსური აქტივების თანხები, შეუძლებელია ქონების გადასახადის სწორად გაანგარიშება.

ამ პარაგრაფში წარმოდგენილი საკითხებისა და ზემოთ განხილული სხვა შეცდომების საგადასახადო ეფექტის დადგენის შესასაძლებლობის არქონის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ გადასახადებთან დაკავშირებული მუხლების სისწორეში.

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს ბიუროს ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	2011	2010
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში		1	24
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში		3,474,025	7,157,964
სავალუტო ანგარიში ბანკში	3	203,813	39
სხვა ანგარიშები ბანკში (საბანკო გარანტიები)		16,500	30,690
დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში		3,000,000	-
დეპოზიტები ბანკში (გრანტი)		-	10,901
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში		-	4,400
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	5,492,339	5,452,928
მოთხოვნები მივლინებით		1,640	944
მოთხოვნები დანაკლისებით		1,062	-
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		271,060	-
სხვა საგადასახადო აქტივი		-	9,487
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით		1,144,258	-
მისაღები პროცენტები		293,362	-
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები		1,840	116
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		13,899,900	12,667,493
არაფინანსური აქტივები			
შენობა-ნაგებობები		7,676,147	5,155,525
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		3,017,254	2,665,687
სხვა ძირითადი აქტივები		4,652,114	3,860,359
დაუმთავრებელი მშენებლობა		464,768	-
სხვა მატერიალური მარაგები		1,357,781	116,271
არაწარმოებული აქტივები		933,049	862,757
სულ არაფინანსური აქტივები		18,101,113	12,660,599
სულ აქტივები		32,001,013	25,328,092

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N1 - ბალანსი (გაგრძელება)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	2011	2010
ვალდებულებები და კაპიტალი			
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	5	127,905	97,625
გადასახდელი მოგების გადასახადი		-	510,803
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		560	3,580
გადასახდელი დღგ		47,032	408,447
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		27	5,139
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის		896	997
გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთათვის		17,294	17,049
ვალდებულებები მივლინებით		498	23
დამქირავებლის მიერ ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული		9,691	9,691
სოციალური დახმარებით ვალდებულებები		475	475
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ		53,371	-
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით		245	245
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანება			
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		257,994	1,054,073
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		13,971,390	12,584,184
გაუნაწილებელი მოგება		17,771,632	11,689,834
სულ კაპიტალი		31,743,022	24,274,018
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		32,001,016	25,328,091

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლეკან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	3,852,400	3,852,425	3,852,425	3,852,425	3,852,425	3,852,425	-
1.2 საქონელი და მომსახურება	820	820	820	820	820	3,500	2,680
1.3 ძირითადი კაპიტალ. მოხმარება	-	-	-	-	-	-	-
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	45,500	45,475	45,475	45,475	45,475	45,475	-
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	-	-	-
1.8 სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
სულ ხარჯები	3,898,720	3,898,720	3,898,720	3,898,720	3,898,720	3,901,400	2,680

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1.1 ძირითადი აქტივები	859,180	859,180	859,180	859,175	859,175
1.1.1 შენობა-ნაგებობები	-	-	859,180	859,175	859,175
არასაცხოვრებელი შენობები	-	-	-	-	-
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	-	-	-
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	-	-	-
1.2 მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	-	-	859,180	859,175	859,175

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2010	12,584,184
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(3,852,425)
საქონელი და მომსახურება	(3,500)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(437,825)
სუბსიდიები	(45,475)
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა	(468,237)
სხვა ეკონომიკური ნაკადები	(150,242)
სულ სადებეტო ბრუნვა	(4,957,704)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	4,757,894
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	1,586,790
სხვა ეკონომიკური ნაკადები	225
სულ საკრედიტო ბრუნვა	6,344,909
წმინდა ღირებულების ცვლილება	1,387,205
წმინდა ღირებულება 31/12/2011	13,971,390

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“
 ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

	საკასო	ფაქტიური
ნაშთი 31/12/2010	7,199,594	11,689,834
საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები		
შემოსავლები საკუთრებიდან	-	-
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	13,427,361	11,404,914
სანქციები, ჯარიმები, საურავები	3,255	171,875
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	32,986	32,986
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	797,748	1,376,311
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები	14,261,351	12,986,086
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		
შრომის ანაზღაურება	(1,534,208)	(1,534,208)
საქონელი და მომსახურება	(3,685,371)	(2,187,102)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	(989,291)
სოციალური უზრუნველყოფა	(26,375)	(26,375)
სხვა ხარჯები	(3,156,604)	(3,156,604)
სულ ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	(8,402,559)	(7,893,580)
არაფინანსური აქტივები		
ძირითადი აქტივები	(6,364,049)	-
სულ არაფინანსური აქტივები	(6,364,049)	-
სულ ფინანსური აქტივები	-	-
სულ ვალდებულებები	-	-
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	-	-
ნაშთი პერიოდის ბოლოს 31/12/2011	6,694,338	17,771,632

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი
 ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლეკან სამხარაულოს სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 31/12/2010	მიღება										გასვლა			ნაშთი 31/12/2011
		დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	დაინტერესებული	
ძირითადი აქტივები															
ფინანს-ნაგებობები	5,155,524	2,345,553	1,073,178	-	-	-	-	468,237	-	-	-	429,871	-	-	7,676,147
არასაცხოვრებელი გნებობები	5,155,524	2,345,553	1,073,178	-	-	-	-	468,237	-	-	-	429,871	-	-	7,676,147
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2,870,429	1,172,240	46,557	1,133	200	-	84,163	-	1,062	389,576	121,201	477,304	-	-	3,017,254
სატრანსპორტო საშუალებები	289,989	475,856	7,907	-	200	-	66,412	-	-	-	47,952	78,827	-	-	577,761
სხ. მანქანა და ინვენტარი	2,583,440	696,385	8,650	1,133	-	-	17,751	-	1,062	389,576	73,249	398,477	-	-	2,439,493
სხვა ძირითადი აქტივები	75,012	61,943	-	85	-	-	-	-	-	-	-	10,154	-	-	126,886
სხვ. არამატ. ძირ. აქტივები	75,012	61,943	-	85	-	-	-	-	-	-	-	10,154	-	-	126,886
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	3,580,605	1,019,019	391,658	63,076	-	-	2,868	-	-	1,059	15,415	509,788	-	-	4,525,227
სულ ძირითადი აქტივები	11,681,570	5,063,524	1,511,393	64,294	200	-	87,031	468,237	1,062	390,635	136,616	1,427,116	-	-	15,810,283

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (გაგრძელება)
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 31/12/2010	მიღება			გასვლა			მიღება			
		დასაბრუნებელი	დასაბრუნებელი	დასაბრუნებელი	დასაბრუნებელი	დასაბრუნებელი	დასაბრუნებელი	დასაბრუნებელი	დასაბრუნებელი	დასაბრუნებელი	დასაბრუნებელი
მატ. მარაგები											
დაუმთავრებელი წარმოება		574,975									574,975
სხვა მატერიალური მარაგები	116,270	1,134,294	28,967		25	389,576	7,980			13,626	782,806
სულ მატერიალური მარაგები	116,270	1,709,269	28,967		25	389,576	7,980			13,626	1,357,780
არაწარმოებული აქტივები											
მიწა	861,820	-	46,430								908,250
სხვა ბუნებრივი აქტივები	937	23,861	-								24,798
სულ არაწარმოებული აქტივები	862,757	23,861	46,430								933,048
სულ არაფინანსური აქტივები	12,660,597	6,796,654	1,586,790	64,294	225	389,576	95,011	468,237	1,062	390,635	18,101,111

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ: (25)	-	-	170,000	141,288	170,000	141,288
მ.შ. მსუბუქი მანქანები სულ:	-	-	170,000	141,288	170,000	141,288
აქედან						
ა) სამსახურებრივი მიმოსვლის	-	-	170,000	141,288	170,000	141,288

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ 2004 წლის 4 ნოემბერს ჩამოყალიბდა. იგი შექმნილია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ შექმნის შესახებ საქართველოს კანონის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2010 წლის 6 სექტემბრიდან 2011 წლის 13 მაისამდე ბიურო ფუნქციონირებდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N256 დადგენილების მიხედვით დამტკიცებული დებულებით, ხოლო 2011 წლის 13 მაისიდან 2012 წლის 24 მაისამდე - საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების მიხედვით.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ ერთადერთი სასამართლო ლაბორატორიაა ქვეყნის მასშტაბით, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საექსპერტო მომსახურებით. ბიურო საექსპერტო მომსახურებას ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მომსახურების ტარიფების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის #351 დადგენილების საფუძველზე 2011 წლის 01 იანვრიდან სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაექვემდებარება სსიპ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომდეგობის ინსტიტუტი, როგორც ბიუროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება.

ბიუროს უფროსის თანამდებობას გიორგი ხიზანიშვილი იკავებს. ბიუროს საშტატო რიცხოვნებამ 2011 წლის საბიუჯეტო კანონით 315 ერთეული შეადგინა, საიდანაც 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავებული იყო 280 საშტატო ერთეული, ანუ 35 საშტატო ერთეულით ნაკლები. ამავე წელს შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნებამ 102 საშტატო ერთეული შეადგინა.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ბიურო ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა - ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ამ ნაკადებს ჰქონდათ ადგილი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება სხვა ეკონომიკურ ნაკადებში (მოგება/ზარალი ფლობიდან).

სსიპ „ლეკიან სამხარაულოს სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბიურომ გამოიყენა ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისას:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები 1 GEL	
	2011	2010
აშშ დოლარი USD	1.6703	1.7728
ევრო EUR	2.1614	2.3500
გირვანქა სტერლინგი GBP	2.5776	2.7393

წინა პერიოდის შეცდომები

2011 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას ბიურომ დააკორექტირა საწყისი საბალანსო ნაშთები. კორექტირებების აუცილებლობა განაპირობა სსიპ „კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომდეგობის ინსტიტუტის“ ბიუროსათვის დაქვემდებარებამ. კორექტირებები კონკრეტული საბალანსო მუხლების მიხედვით ქვემოთ არის წარმოდგენილი:

	31/12/2010 თავადპირველად წარდგენილი	კორექტირება	31/12/2011 კორექტირებული
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1	23	24
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	7,020,687	137,277	7,157,964
დეპოზიტები ბანკში (გრანტი)	-	10,901	10,901
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,451,042	1,886	5,452,928
შენობა-ნაგებობები	4,687,287	468,238	5,155,525
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2,622,259	43,428	2,665,687
სხვა ძირითადი აქტივები	3,838,736	21,623	3,860,359
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	(96,452)	(1,173)	(97,625)
გადასახდელი დღგ	(401,631)	(6,816)	(408,447)
ვალდებულებები მივლინებით	-	(23)	(23)
წმინდა ღირებულება	(12,070,543)	(513,641)	(12,584,184)
გაუნაწილებელი მოგება	(11,528,111)	(161,723)	(11,689,834)
	(476,725)	-	(476,725)

3. სავალუტო ანგარიში ბანკში

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალუტო ანგარიში ბანკში ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2011	2010
EUR	203,774	-
USD	39	39
GBP	-	-
სულ ლარში	203,813	39

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

4. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	2011	2010
შინაგან საქმეთა სამინისტრო	4,392,664	4,392,664
ფინანსთა სამინისტრო	257,913	270,063
სასჯელაღსრულების სამინისტრო	247,271	213,777
სს „ბორჯომ-ლიკანი ინტერნეიშენალ“	58,813	-
სსიპ „საფინანსო სააგენტო“	42,532	39,956
თავდაცვის სამინისტრო	39,674	39,674
ქ. ქუთაისის მერია	38,112	77,704
აღსრულების ეროვნული ბიურო	31,088	30,098
სს „საქართველოს რკინიგზა“	21,481	31,364
შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“	-	55,430
ქ. რუსთავის მერია	-	30,504
სხვა მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	362,792	271,694
	5,492,339	5,452,928

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

5. ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	2011	2010
შპს „ჯიპისი“	82,450	82,450
შპს „ელ +“	11,800	-
შპს „აუტოდორ ტრანსპორტ ედვერთაისინგ“	9,336	-
შპს „სამაია“	200	6,824
სს „თელასი“	14,451	1,037
შპს „ირაო“	1,011	939
სხვა ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	8,657	6,375
	<u>127,905</u>	<u>97,625</u>

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.